

სახელმწიფო მართვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ და განათლების ღირებულებათა გადაფასებამ უმწვავესად დააყენა უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის საკითხი. უკანასკნელ წლებში საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს კურსდამთავრებულთა მომზადების დაბალი ხარისხი, მათი დასაქმების კატასტროფულად დაბალი მაჩვენებლები, უმაღლეს სკოლებში გამეფებული კორუფცია, ლიცენზირების დევალვაცია და ა.შ. აღნიშნული კრიზისიდან თავის დაღწევისათვის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სისტემების შექმნა როგორც ეროვნულ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე. ამ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება არის პროფესორ-მასწავლებელთა ფართო ფენების ცნობიერების გარდაქმნა და მათ მიერ მართვის დემოკრატიული მექანიზმების დაუფლება. ქ-ნი ბელა გომელაურისა და ბატონ მამუკა თავგელიძის წინამდებარე წიგნი წარმოადგენს პირველ ცდას საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული რეალობისა და წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განიხილოს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა-აკრედიტაციის საკითხები. წიგნი შევიდა ცალკეული, ფართო მკითხველისათვის სპეციალურად გამარტივებული თავები ქ-ნ ბელა გომელაურის ამავე პრობლემისადმი მიძღვნილი მონოგრაფიიდან და ბატონ მამუკა თავგელიძის პუბლიკაციები. აღსანიშნავია, რომ ბატონი მამუკა თავგელიძე ქ-ნ ბელა გომელაურთან ერთად თავად უძღვებოდა ხარისხის მართვის ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ტემპუს ტასისის პროგრამის ფარგლებში. ამ სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ უცხოელი კოლეგები თრევორ კარტლიჯი, ჯეკი სტიფანსონი, კოლინ ლავი და იან ჰელბერგი. წიგნი გამიზნულია დამხმარე სახელმძღვანელოდ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრების, უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ადმინისტრატორების, სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის.